ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №33

2026 წლის 26 თებერვალი

ქ. რუსთავი

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 02.04.03.595, 02.04.03.700, 02.04.03.741) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 42-ე მუხლის, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის და „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის – გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის №154 დადგენილების გათვალისწინებით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 02.04.03.595, 02.04.03.700, 02.04.03.741) განაშენიანების დეტალური გეგმა დანართი 1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

მიწის ნაკვეთებზე (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 02.04.03.595, 02.04.03.700, 02.04.03.741) არსებული საცხოვრებელი ზონა 2 სექტორი 2 (სზ-2 ს 2) შეიცვალოს საცხოვრებელი ზონა 3-ით.

მუხლი 3

მიწის ნაკვეთების (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 02.04.03.595, 02.04.03.700, 02.04.03.741) კ-2 კოეფიციენტი განისაზღვროს 2.7-ით.

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **მამუკა რეხვიაშვილი**